14/02/2021

მეუფე სტეფანე: – “ჭყონდიდის ეპარქიაში საკანდალი უნდა დასრულდეს”

ჭყონდიდის ეპარქიის სკანდალურობა უნდა დასრულდეს , – განაცხადა ცაგერისა და ლენტეხის მეუფე სტეფანემ ქადაგებაზე.

მისი თქმით, ეპარქიაში უნდა დაიწყოს ჩვეულებრივი ცხოვრება, განათლება და სახელმწიფოებრიობა, რაც იყო ეპარქიის მთავარი დატვირთვა.

ჟურნალისტების კითხვაზე, რას გულისხმობდა სკანდალურობის დასრულებაში, ამბობს, სკანდალურობა ყველასგან იყო, მაგრამ არა მეუფე გრიგოლისგან, მეტიც, მისი თქმით, ის მსხვერპლი იყო.

“დარბიხართ ყველა და პოლიტიკურ კითხვებს სვამთ და თუ გინდათ, ჭყონდიდში ჩამოდით სულიერებისთვის. სკანდალურობა ყველასგან იყო, ვიღაცას აინტერესებდა, ვიღაცამ აიტაცა და გააშუქეს, როგორც აწყობდათ. მე არ ვაპირებ, სკანდალურობის პროპაგანდას. იქ უნდა ვიყო წყნარად და მშვიდად. სკანდალურობაში მეუფე გრიგოლი არაფერ შუაშია, მეუფე მსხვერპლი იყო ამ სიტუაციისა. მას თავის ეპარქია ჰქონდა და წარმოიდგინე, ჭყონდიდიდან წალკაში, რთულია. დროებით იყო, ვიდრე ვინმე გამოიძებნებოდა”, – განაცხადა მეუფე სტეფანემ.

მან ასევე განმარტა, რომ ჭყონდიდის ეპარქიაში მსახურების დამატება “ნამახვანჰესთან” დაკავშირებით ერთგვარი სასჯელი არ არის. მისი თქმით, ეს სინოდის გადაწყვეტილება იყო და ამით ჰესთან დაკავშირებით მისი დამოკიდებულება არ შეცვლილა.

— dogma.ge